

ეკონომიკა, ეკონომეტრიკა და ფინანსები

**ეკონომიკის სპეციალიზებული განვითარებისა
და რეგიონული კოოპერაციის გაღრმავების შესაძლებლობები
სამხრეთ კავკასიაში**

გიორგი დავთაძე

george.gavtadze@atsu.edu.ge

აპაკი წერილის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სალომე ქარჩხაძე

karchkhadze.salome@unik.edu.ge

ქუთაისის უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

განვითარების თანამედროვე ეტაპზე არნახულად შეიცვალა როგორც გლობალური ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების თავისებურებები, ისე კონკრეტული რეგიონებისა თუ ქვეყნების განვითარების პირობები. განსაკუთრებით, ეს ითქმის ახალ სახელმწიფოებზე, რომლებიც ღრმა სისტემურ ცვლილებებს განიცდიან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის, ვაჭრობის გახსნილობისა და უცხოური ინვესტიციების შემოდინების გამო. ანალოგიური მდგომარეობაა, ზოგადად, სამხრეთ კავკასიასა და, კონკრეტულად, საქართველოში. მსოფლიო სამეურნეო სისტემაში „მცირე ქვეყნებს“ საკმაოდ გამოკვეთილი ადგილი უჭირავთ. შესაბამისად, საქართველოს აქვს საერთაშორისო მასშტაბის პერსპექტივები, საკუთარი რესურსებისა და უპირატესობების უფრო სწორი, რაციონალური და მიზანმიმართული გამოყენების (ეკონომიკის სპეციალიზაციის) და შესაბამისი პოლიტიკის რეალიზების პირობებში. აღნიშნულს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამხრეთ კავკასიის მასშტაბით ქვეყნის პოზიციების გამყარება და რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება. წინამდებარე სტატიის ფარგლებში, განხორციელებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების კვლევა სპეციალიზებული განვითარებისა და რეგიონული კოოპერაციის გაღრმავების მიმართულებით და შესაბამისი უცხოური გამოცდილების გაანალიზების საფუძველზე, შემუშავებულია გარკვეული რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: მზარდი ბაზარი, ეკონომიკის სპეციალიზაცია, რეგიონული კოოპერაცია.

შესავალი. ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც გლობალური მასშტაბით საკუთარი პოზიციების გამყარებისათვის იბრძვის, ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის დროს, უნდა ითვალისწინებდეს როგორც ლოკალურ, ისე მის მსგავს სხვა სახელმწიფოთა მაგალითებს. შესაბამისად, საქართველომ, საკუთარი ორიენტირების, სტრატეგიული მონახაზისა თუ ტაქტიკის შემუშავება-განსაზღვრის დროს, პარალელები მსოფილოს მცირე ქვეყნების მაგალითებში უნდა ეძიოს. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლებში, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ცივილიზებულ დასავლეთთან დაახლოების სასარგებლოდ გაკეთდა, უპრიანი იქნება, თუ მეტ ყურადღებას ევროპის მცირე ქვეყნების გამოცდილების გაანალიზებას და მათი გამოყენების შესაძლებლობების ძიებას დავუთმობთ.

მსოფლიო განვითარების თანამედროვე ეტაპზე, არნახულად შეიცვალა როგორც გლობალური ეკონომიკური სისტემის განვითარების თავისებურებები, ისე ცალკეული რეგიონების, ქვეყნებისა თუ ქვეყანათა გაერთიანებების ფუნქციონირების პირობები და პრინციპები. XXI საუკუნეში, რომლის ჯერ მეოთხედიც არ გასულა, მთელი მსოფლიო არაერთი გამოწვევის წინაშე დადგა კრიზისების, პანდემიის, ომების სახით. მსგავსი ვითარებები განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების და განვითარებული ქვეყნების, ისე მცირე და განვითარებადი სახელმწიფოების მხრიდან, მათი დინამიური და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფის და/ან პოსტ-კრიზისულ პერიოდში ეკონომიკის სწრაფი აღდგენის მიზნებიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნულის რეალიზება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სათანადო თეორიული ბაზის არსებობაზე, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს, როგორც შესაბამისი ეკონომიკური დოქტრინებიდან და მსჯელობებიდან, ისე მსოფლიოში არსებული მსგავსი გამოცდილებების მეცნიერული შეფასებებიდან. საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 30 წელია, რაც დამოუკიდებლობა აღიდგინა, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის განვითარების ორიენტირებზე მსჯელობა უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს, პრინციპული შეთანხმება დღემდე არ არის მიღწეული, რაც სხვადასხვა სუბიექტურ, თუ ობიექტურ გარემოებათა შედეგია.

არსებულ პრობლემათა სპექტრი საკმაოდ მრავალფეროვანია, რაც მათი მოგვარების საქმეში თანმიმდევრულობას, დინამიზმსა და შედეგზე ორიენტირებულობას მოითხოვს. ამასთან, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ქმედებათა კოორდინაციის და ძალისხმევის გაერთიანების აუცილებლობა, როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე რეგიონული (სამხრეთ-კავკასიის და/ან სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის) და საერთაშორისო მასშტაბით. შე-

დეგად, უნდა მივიღოთ ჩვენი ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური რეაბილიტაცია და უფრო სრულფასოვანი პოზიციონირება საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, წინამდებარე სტატიის მიზანია საქართველოს ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებისა და პერსპექტივების კვლევა და რეკომენდაციების შემუშავება, გასაკუთრებით - ეკონომიკის სპეციალიზირებული განვითარებისა და რეგიონული კოოპერაციის გაღრმავების შესაძლებლობების სრულად გამოყენების მიმართულებით. დასახული მიზნის მისაღწევად, შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა როგორც საქართველოს, ისე მეზობელი ქვეყნებისა და ევროპის „მცირე“ სახელმწიფოთა ისტორიული გამოცდილება და განვითარების თანამედროვე პირობები, რამაც უფრო ზუსტი და არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა მოგვცა.

აქვე დავძენთ, რომ ავტორების მიერ მსგავსი საკითხების კვლევა რამდენიმე წლის წინ იქნა დაწყებული, რომლის შედეგები ასახულია სხვადასხვა სამეცნიერო სტატიებში და კრებულებში. გასულ პერიოდში მიღებული შედეგები, გარკვეულწილად, შეჯერებულად არის წარმოდგენილი წინამდებარე ნაშრომშიც, თანამედროვე პრობლემების და სამომავლო პერსპექტივების ანალიზის შედეგებთან ერთად. საკითხის მნიშვნელობისა და მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მადლიერებით მივიღებთ როგორც ნებისმიერ შენიშვნასა და მოსაზრებას, ისე თანამშრომლობის შემოთავაზებას აღნიშნული და თანამდე საკითხების კვლევით დაინტერესებული პირების მხრიდან.


ძირითადი მსჯელობა. განვითარების ოპტიმალური გზების ძიების პრობლემატიკა აქტუალურია მსოფლიოს ნებისმიერი მცირე, განვითარებადი, თუ ახალწარმოქმნილი სახელმწიფოსათვის, რადგან ისინი, ერთი მხრივ, ესწრაფვიან ეკონომიკის სრულყოფილ გარდაქმნას არსებული პირობების შესაბამისად, მეორე მხრივ, ცდილობენ მსოფლიო თანამეგობრობაში უფრო მკვეთრად გამოხატული ადგილის დაჭერას, საკუთარ თავზე ახალი ეკონომიკური (და არამარტო) ფუნქციების აღებით და, მესამე მხრივ, ცდილობენ იყვნენ ნაკლებად მოწყვლადი მსოფლიო მასტაბით მიმდინარე კრიზისული პროცესების მიმართ.

მსგავსი ქვეყნების საკითხი, კიდევ უფრო მწვავე გახდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების პირობებში, რასაც, უკანასკნელ წლებში, თან დაერთო პანდემია და რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული ეკონომიკური რყევები. შედეგად, წარმოების განვითარების ტემპების შენელებამ და ფინანსურ რესურსებზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის ზრდამ საყოველთაო ხასიათი მიიღო.

პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური დაცემის მასშტაბები კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე 2008-2010 წ.წ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. გლობალური ეკონომიკის ვარდნა 2009 და 2020 წწ.

(რეალური მშპ-ის ზრდა, წლიური პროცენტული ცვლილება)



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ეკონომიკის ზოგადი მიმოხილვა 2020¹

1-ელ დიაგრამაზე მოცემული ეკონომიკური ვარდნის მასშტაბები რთულად გადასატანი იყო თვით განვითარებული ქვეყნებისათვისაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ განვითარებად და ღარიბ ქვეყნებზე. ამ უკანასკნელთა მდგომარეობას, საკუთარი ეკონომიკის მოწყვლადობასთან ერთად, ისიც ამძაფრებდა, რომ წამყვანი ინდუსტრიული სახელმწიფოები, თვით განიცდიდნენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ უკუსვლას და გაჭირვებით უმკლავდებიან საკუთარ ფინანსურ პრობლემებს.


პანდემიის შედეგების დასაძლევად, მანამდე არნახული თანამშრომლობა გახდა საჭირო საერთაშორისო დონეზე. მჭიდრო პარტნიორობა აუცილებელი იყო, მათ შორის, შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების მქონე ქვეყნების დასახმარებლად, რომლებიც განიცდიდნენ ორმაგ - ჯანმრთელობისა და დაფინანსების შოკებს, და რომლებსაც სუსტი ჯანდაცვის

¹ სტატიიდან: **Gopinath G.**, „The Great Lockdown: Worst Economic Downturn Since the Great Depression, available at: <https://www.imf.org/en/Blogs/Articles/2020/04/14/blog-weo-the-great-lockdown-worst-economic-downturn-since-the-great-depression>

გ. ლავთაძე, ს. ქარჩხაძე

სისტემები გააჩნიათ.¹ განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ვარდნის მასშტაბების საილუსტრაციოდ, მოვიყვანოთ შემდეგი დიაგრამა:

დიაგრამა 2. განვითარებული და მზარდი ბაზრებისა და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის ვარდნა 2009 და 2020 წლებში
(რეალური მშპ-ის ზრდა, წლიური პროცენტული ცვლილება)



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ეკონომიკის ზოგადი მიმოხილვა 2020².

დიაგრამებიდან კარგად ჩანს, მდგომარეობის სირთულე და ის, რომ პრობლემა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ ეხებოდა მხოლოდ მცირე და განვითარებად ქვეყნებს. იგი, ასევე, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა მაღალგანვითარებული ქვეყნებისთვისაც კი, რაც, ჩვენი აზრით, მდგომარეობას კიდევ უფრო მეტად ამძიმებდა.

ვითარების შემდგომი გამწვავება გამოიწვია, 2022 წლის თებერვლის ბოლოს, რუსეთის ინტერვენციამ უკრაინაში და სრულმასშტაბიანი ომის დაწყებამ. ამის გამო, რუსეთისათვის მანამდე არნახული სანქციების დაწესებამ (რომელიც დღემდე გრძელდება), ამ ქვეყნის ეკონომიკისა და პოლიტიკური სისტემის ჩამოშლა შეიძლება გამოიწვიოს. უკეთეს შემთხვევაში, მას ექნება დანარჩენი მსოფლიოსაგან იზოლირებულად განვითარების

¹ World economic outlook, 2020: The great lockdown, International Monetary Fund, Chapter 1: Global Prospects and Policies, available at: <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2020/04/14/weo-april-2020>

² სტატიიდან: **Gopinath G.**, „The Great Lockdown: Worst Economic Downturn Since the Great Depression, ხელმისაწვდომია: <https://www.imf.org/en/Blogs/Articles/2020/04/14/blog-weo-the-great-lockdown-worst-economic-downturn-since-the-great-depression>

შესაძლებლობა, რაც ცივი ომის პერიოდში დაბრუნებას ნიშნავს და ნაკლებად ტოვებს ოპტიმიზმის საშუალებას რუსეთის მოსახლეობისათვის. მართალია დაგვიანებით, მაგრამ სათანადო ქმედებების განხორციელება დაწყებულია და, იმედია, ისინი ლოგიკურ დასასრულამდე მივა.

ცხადია, თანამედროვე მსოფლიოში თავმოყრილი ზემოთ აღწერილი და სხვა თანამდე პრობლემები არ არის მხოლოდ ეკონომიკური თუ პანდემიური კრიზისებით გამოწვეული. მათზე არანაკლებ მოქმედებს პოლიტიკური დაპირისპირებები, გავლენის სფეროების გადანაწილებისა და ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების მცდელობები და ა.შ. შედეგად, გარკვეული პერიოდულობით, რეალური და ფინანსური კაპიტალის მოძრაობა საერთაშორისო მასშტაბით, ასე ვთქვათ, მიმართულებას იცვლის ხოლმე და, ამჟამად, სწორეს ეს დროა. არაერთი ეკონომისტი იმასაც აღნიშნავს, რომ კრიზისულმა ვითარებებმა შეიძლება ახალი შესაძლებლობები გააჩინოს საქართველოს მსგავსი ქვეყნებისათვის, სათანადო სწორი სტრატეგიის ფორმირებისა და რეალიზების შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულით, უბრალოდ, ცვდილობთ ვთქვათ, რომ მსოფლიო ახალი გლობალური წესრიგის დამყარების ეპოქაში შევიდა, განსაკუთრებით რუსეთის უკრაინაზე თავდასხმის შემდეგ. შესაბამისად, საქართველოს მსგავს ქვეყნებს საკუთარი საგარეო თუ შიდა ეკონომიკური ხედვების გადასინჯვა და მიმდინარე ცვლილებებსა თუ ახალ შესაძლებლობებზე უსწრაფესი რეაგირება მართებთ. აქვე დავძენთ, რომ ამ მასშტაბის საკითხისადმი აუცილებელია კომპლექსური მიდგომა, რაც პარტნიორი და მეგობარი ქვეყნების (უპირველეს ყოვლისა, აშშ-სა და ევროკავშირის) შესაძლებლობებისა და საერთაშორისო ბაზრებზე შესვლისთვის გლობალური და რეგიონული მიდგომების გამოყენებას უნდა გულისხმობდეს. მითუმეტეს, რომ საერთაშორისო თუ რეგიონული თანამშრომლობის არაერთი წარმატებული მაგალითი და შესაძლებლობა შეიძლება გავიხსენოთ, უახლესი ისტორიის მანძილზე. ამასთან, ხშირ შემთხვევაში, სწორედ საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობა გვევლინება პრობლემათა დაძლევის გარანტად და ცალკე აღებული ქვეყნები შედარებით მძიმედ უმკლავდებიან გამოწვევებს, რომელთა პროგნოზირება და, შესაბამისად, პრევენცირება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

მიუხედავად იმისა, თუ რა სახის და მასშტაბის პრობლემა იქმნება თანამედროვე მსოფლიოში, მათი დაძლევის ყველა ეფექტიან მეთოდად შეიძლება ჩაითვალოს ძალისხმევის კოორდინაცია და ერთობლივი ქმედებები, მიმართული კრიზისის დასაძლევად. ამასთან, გაერთიანებას ენიჭება გადაამწყვეტი მნიშვნელობა და არა აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს მსოფლიო თუ რეგიონულ დონეზე. ყოველ შემთხვევაში, კრიზისებთან გამკლავება

გ. ლავთაძე, ს. ქარჩხაძე

ცალკეულ სახელმწიფოებს ძალიან გაუჭირდათ, მათ შორის, წამყვან ინდუსტრიულ ქვეყნებსაც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს წინაშე დგას შემდეგი სახის ძირითადი გამოწვევები:

1. მოახდინოს საკუთარი პოტენციალის, როგორც სასტარტო პოზიციის (ამჯერად, „მცირე ქვეყნის“ სტატუსთან შესაბამისობა) განსაზღვრა, სამომავლო პერსპექტივების სწორი გათვლისათვის;
2. რეგიონული მასშტაბით კოოპერაციის შესაძლებლობებისა და ძირითადი მიმართულებების ძიება, გლობალურ კონკურენციაში წარმატების მიღწევის მიზნით.

გავიხილოთ უფრო კონკრეტულად:

„მცირე ქვეყნის“ სტატუსთან საქართველოს შესაბამისობის საკითხისათვის. თანამედროვე მსოფლიო წარმოადგენს დიდ და მცირე სახელწიფოთა კომპლექსს, რომლებიც გარკვეულ ურთიერთკავშირში იმყოფებიან. ამასთან მთელ ამ სისტემაში მცირე ქვეყნებს ერთობ მკაფიო ადგილი უჭირავთ. მაგრამ, თვით სახელმწიფოთა დაყოფა დიდ და მცირე ქვეყნებად ფრიად რთულ საქმეს წარმოადგენს. საქმე იმაშია, რომ ცალკე აღებულ ნებისმიერ მაჩვენებლს არ შეუძლია იყოს საკმარისად ტევადი, რათა მის საფუძველზე მოვახდინოთ სახელმწიფოთა მკაცრი კლასიფიკაცია.

მცირე სახელმწიფოთა განსაზღვრისთვის არსებობს სამი ძირითადი მიმართულება - დიფერენცირება: 1) ტერიტორიის ზომებისა და მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით; 2) ეკონომიკური მაჩვენებლების - შიდა ბაზრის ზომების, მშპ-ის მოცულობის, ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის სიდიდის და ქვეყნების საკუთარი პოტენციალის გამოყენების დონის მიხედვით; 3) ხარისხობრივი მაჩვენებლების (პოლიტიკური, სამეურნეო, ფსიქოლოგიური და სხვ.) მიხედვით. მართალია, ყველაზე მნიშვნელოვნად მე-2 კრიტერიუმი მიგვაჩნია, თუმცა ვთვლით, რომ მცირე ქვეყნის განსაზღვრისთვის აუცილებელია არა ცალკეული მაჩვენებლის შერჩევა, არამედ ფაქტორთა ნაკრების აღება, როგორებიცაა: ტერიტორიულ-დემოგრაფიული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2021 და 2022 წლების მონაცემების მიხედვით ნომინალური მშპ-ის მიხედვით მსოფლიოს უდიდესი ქვეყნებია: აშშ, ჩინეთი, იაპონია, გერმანია, გაერთიანებული სამეფოები, ინდოეთი, საფრანგეთი, იტალია, კანადა, სამხრეთ კორეა და ა.შ.¹ 2021 წლის მონაცემებით, იმავე წყაროზე დაყრდნობით, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მაჩვენებლის მიხედვით, მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნებია:² ნორვე-

¹ უფრო ვრცლად, იხ. მსოფლიო ბანკის მონაცემები, ხელმისაწვდომია: https://data.worldbank.org/indicator/Ny.Gdp.Mktp.Cd?most_recent_value_desc=true

² ხელმისაწვდომია: <https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD>

გია, 76,408\$, აშშ - 66,144\$, დანია - 63,645\$, სინგაპური - 62,113\$. ულარი-ბესი ქვეყნებია: ბურუნდი (\$265,18), სამხრეთ სუდანი (\$314,64), სომალი (\$346,68), მოზამბიკი (\$424,91), მალავი (\$431,58). 2020 წელს, საქართველოში, რომელიც ქვეყანათა პირველ ორმოცდაათეულში ვერ შევიდა, მშპ-მ ერთ სულზე შეადგინა 4255,7 აშშ დოლარი, ხოლო 2021 წელს - 5023,2 აშშ დოლარი.¹

საქართველოს პირობების გათვალისწინებით, ანალიზის დროს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ისეთი ქვეყნების მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე აქცენტის გადატანა, რომლებიც მნიშვნელოვანწილად არიან (ან იყვნენ ახლო წარსულში) დამოკიდებული საგარეო ბაზრებზე. ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ მაჩვენებლებზე, როგორებიცაა: მთლიანი შიდა პროდუქტის სიდიდე, ექსპორტზე მიმართული ეროვნული შემოსავლის ხვედრითი წილი (ვინაიდან მათი გაანგარიშება მოითხოვს ქვეყნის მეურნეობის მასშტაბების, მოსახლეობის რიცხოვნობის, შიდა ბაზრის სიდიდის, სამრეწველო განვითარების დონის, ეკონომიკის სტრუქტურის და სხვა მაჩვენებლების შესწავლას) და სხვა. მოგეხსენებათ, რომ საქართველოში ასეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები არ არის მაღალი და ევროპის თანამედროვე სახელმწიფოებთან მისი შედარება სასურველ შედეგს ვერ მოგვცემდა. ამიტომ, დავიხიოთ ცოტა უკან და საკითხის განხილვა დავიწყოთ XX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან და შევისწავლოთ განვლილი პერიოდის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები.

დასავლეთ ევროპაში 20-მდე მცირე ქვეყანაა თავმოყრილი, რომელთა შორის, მსხვილი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სამეურნეო საქმიანობის მასშტაბების მიხედვით, საკმაოდ დიდი დიაპაზონი არსებობს. მშპ-ს აბსოლუტური სიდიდის მიხედვით, XX საუკუნის 90-იან წ.წ. დასაწყისისათვის, ქვეყნების სამი ძირითადი პირობითი ჯგუფი გამოიყოფოდა (Юданов 1984: 432):

1. მშპ-ს მოცულობით 60 მლრდ. დოლ. და მეტი (ესპანეთი, ნიდერლანდები, შვედეთი, ბელგია, შვეიცარია). ისინი დასავლეთ ევროპის მასშტაბით საკმაოდ დიდი მწარმოებლები არიან და რეგიონის დიდ განვითარებულ ქვეყნებს აბსოლუტური მოცულობების მიხედვით ბევრად არ ჩამორჩებიან;
2. მშპ-ს სიდიდით 25-45 მლრდ. დოლარამდე (ავსტრია, დანია, ნორვეგია, საბერძნეთი, ფინეთი). მათი მნიშვნელობა დასავლეთ ევროპულ ეკონომიკაში დიდი არ იყო, მაგრამ ისინი ინარჩუნებდნენ არსებით პოზიციებს ზოგიერთი სახის სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოებაში;

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები, ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>

გ. ლავთაძე, ს. ქარჩხაძე

3. 20 მლრდ.-მდე მშპ-ს მოცულობით (პორტუგალია, ირლანდია, ლუქსემბურგი, ისლანდია, კვიპროსი, მალტა), თუმცა ზოგიერთი სახის პროდუქციის მიხედვით, ისინი მაინც შესამჩნევ როლს თამაშობდნენ. საქართველოსთვის, ეს მაჩვენებელი, მიმდინარე ეტაპზე, დაახლოებით 6,8 მლრდ. აშშ დოლარია.

გარდა აღნიშნულისა, აუცილებელია მცირე ქვეყნებს შორის განსხვავების უფრო განმაზოგადებელი მაჩვენებლის - ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის გაანგარიშება. ამ ნიშნის მიხედვით დასავლეთ ევროპის ქვეყნები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად (ანალოგიური პერიოდითვის): 1) მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყნები - 6-6,5 ათ დოლ. მათ შორის უმეტესობას უკვე მიღწეული ჰქონდა სპეციალიზაციის მნიშვნელოვან ხარისხზე, დანარჩენებმა კი მნიშვნელოვნად წაიწიეს აღნიშნული მიმართულებით; 2) „საშუალო“ დონის ქვეყნები (1,0-3,1 ათ. დოლ), რომლებშიც მიმდინარეობდა ინდუსტრიალიზაციის პროცესი. მათი სამეურნეო სისტემა გამოხატავდა მრეწველობის დარგების მრავალფეროვნებას, მაგრამ უკვე იწყებოდა ეკონომიკის დომინირებადი სექტორების თანდათანობითი გამოყოფა. საქართველოში, მიმდინარე ეტაპზე, ანალოგიური მაჩვენებელი, 1,8 ათ. აშშ დოლარია.¹

როგორც ვხედავთ, განსხვავება საკმაოდ დიდია. მიზეზები, რომელიც განაპირობებდა ქვეყანათა ასეთ დიფერენციაციას, მსოფლიო სამეურნეო სისტემაში მათ მიერ დაკავებულ პოზიციებში უნდა ვეძიოთ. ამიტომ, უპირიანი იქნება ყურადღება შევაჩეროთ იმ საკითხებზე, რომლებიც განაპირობებდა ცალკეულ სახელმწიფოთა მდგომარეობას გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში.

მსოფლიო ბანკი, ქვეყნების კლასიფიკაციისას შემოსავლის დონის მიხედვით 2019-2020 წ.წ. (ცხრილი 1.), შემდეგ ოთხ ჯგუფს გამოჰყოფს: დაბალი, ქვედა საშუალო, ზედა საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნები. კლასიფიკაცია ყოველწლიურად 1 ივლისს ახლდება და დაფუძნებულია მთლიანი ეროვნული შემოსავლის (მემ) მაჩვენებელზე დოლარში, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.²

¹ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები, მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში, ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>

² გაცვლითი კურსის შესაფასებლად გამოიყენება „ატლასის“ მეთოდი

ცხრილი 1. ქვეყნების კლასიფიკაცია შემოსავლის დონის მიხედვით 2019-2022 წწ.
(აშშ დოლარებში)

ჯგუფი	1 ივლისი, 2019	1 ივლისი, 2020 ¹	1 ივლისი, 2021 ²	1 ივლისი, 2022 ³
დაბალი	<1 026,0	< 1 036,0	< 1 054,0	< 1,085
ქვედა-საშუალო	1 026,0-3 995,0	1 036,0-4 045,0	1,046-4,095	1,086-4,255
ზედა-საშუალო	3 996,0-12 375,0	4 046-12 535	4,096-12,695	4,256-13,205
მაღალი	> 12 375,0	> 12 535,0	> 12,695	> 13,205

წყარო: New World Bank country classifications by income, 2019-2023

კლასიფიკაცია იცვლება ორი ძირითადი მიზეზის გამო: 1) თითოეულ ქვეყანაში, ისეთი ფაქტორები, როგორცაა ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, გაცვლითი კურსი და მოსახლეობის ზრდა გავლენას ახდენს მეშ-ზე, ერთ სულ მოსახლეზე; 2) ეროვნული ანგარიშგების მეთოდებისა და მონაცემების გადახედვამ, ასევე, შეიძლება გავლენა მოახდინოს მეშ-ზე.

შემოსავლის კლასიფიკაციის საზღვრები რეალურ დროში კორექტირდება ინფლაციის დონით. ნასესხობის სპეციალური უფლებების დეფლატორი, რომელიც ჩინეთის, იაპონიის, გაერთიანებული სამეფოს, აშშ-ს და ევროზონის მშპ-ის დეფლატორის შეწონილი საშუალოა, აკორექტირებს ზემოთ აღნიშნულ საზღვრებს.

საქართველოში უკანასკნელ წლებში ანალოგიური მაჩვენებელი მნიშვნელოვნად იკლებდა, მაგრამ 2021 წლიდან, კვლავ მატება დაიწყო (ცხრილი 2).

ცხრილი 2. მთლიანი ეროვნული შემოსავლის ცვლილება 2018-2021 წწ.

	2018	2019	2020	2021
მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ), მილიარდი ლარი	42,9	47,1	47,0	56,9
მეშ ერთ სულზე, ლარი	11502,4	12650,1	12617,1	15260,3
მეშ, მილიარდი აშშ დოლარი	16,9	16,7	15,1	17,7
მეშ ერთ სულზე, აშშ დოლარი	4538,3	4487,2	4057,3	4737,9

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები¹

¹ ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/24/mtliani-erovnuli-shemosavali-mesh>

გ. ლავთაძე, ს. ქარჩხაძე

საქართველო, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ზედა-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების კატეგორიაში შედის. შესაბამისად, ნაშრომში განვითარებული მსჯელობის შესაბამისად, მისი განხილვა შესწავლილი ქვეყნების ჭრილში, შესაძლებელია. ამიტომ, ეკონომიკის სპეციალიზირებული განვითარების მსოფლიო გამოცდილებას, უფრო სიღრმისეულად განვიხილავთ.

ეკონომიკური სპეციალიზაციის უპირატესობები მცირე ქვეყნისათვის. ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც მსოფლიო ქვეყნებს შორის ადგილის დამკვიდრებისა და გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში საკუთარი სემენტის გამოძებნისთვის იბრძვის, ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის დროს, აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს, როგორც ადგილობრივ, ისე სხვა, მის მსგავს სახელმწიფოთა გამოცდილებას. შესაბამისად, საქართველომ საკუთარი ორიენტირების, სტრატეგიული მონახაზისა თუ ტაქტიკის შემუშავება-განსაზღვრის დროს, პარალელები მსოფლიოს მცირე ქვეყნების მაგალითებში უნდა ეძიოს. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ცივილიზებულ დასავლეთთან დაახლოების სასარგებლოდ გადაწყდა, უპრიანი იქნება, თუ მეტ ყურადღებას ევროპის მცირე ქვეყნების გამოცდილებას დავუთმობთ.

აღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს განვითარების თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით, ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ევროპულ სახელმწიფოებში რეგიონული წარმონაქმნების ფუნქციებისა და მნიშვნელოვნების არსებითი ზრდა, მიმდინარეობდა მათი ეკონომიკების ბიზნეს-საქმიანობის ერთი ან რამდენიმე სექტორის პრიორიტეტულობაზე კონცენტრირებით. ეს ფაქტი, ამ ქვეყნებსა და მათ რეგიონებში, ინვესტიციების მიზნობრივი მოზიდვის მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდა.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, ევროპული განვითარების ორი გამოკვეთილი მიმართულება გახდა: პოლიტიკურ ჭრილში - სახელმწიფოებრივი მართვის ფუნქციების რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე დელეგირება და ეკონომიკურ ჭრილში - სპეციალიზაციის ხარისხის ამაღლება და მის ხარჯზე, ერთი მხრივ, საერთაშორისო ბაზრებზე წარმატებული პოზიციონირება და, მეორე მხრივ, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობათა გაფართოება.

შესაბამისად, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო ისწრაფვის სა-

ერთო ევროპულ სახლში ინტეგრირებისაკენ, ჩვენი ყურადღების კონცენტრირება უნდა მოხდეს შემდეგი ძირითადი მიმართულებით:

- ✓ რეგიონული მასშტაბით ეკონომიკური თუ პოლიტიკური პოზიციების გამყარება;
- ✓ ქვეყნის შიგნით, სამხარეო მართვის რაციონალური, ოპტიმალური სისტემების შექმნა და განვითარება-გამლიერება;
- ✓ ქვეყნის ეკონომიკაში პრიორიტეტული სექტორების გამოყოფა და მათი გამოყენება ქვეყნის მიმართ ინტერესის ზრდის მიზნით, საერთაშორისო მასშტაბით.

როდესაც ვსაუბროთ „რეგიონზე“, ამ შემთხვევაში, არ ვგულისხმობთ მხოლოდ სამხრეთ კავკასიას. საქართველოს გეო-პოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ასევე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემდეგი სამიზნე ორიენტირების შერჩევა:

- **ცენტრალური აზია** - ამ რეგიონში შემავალი სახელმწიფოების მიმართ სპეციფიკური პოლიტიკის გატარება დადებითი შედეგების მომტანი იქნება, როგორც ინვესტიციების მოზიდვის, ისე საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გამყარების, ქვეყნის სტაბილური განვითარების და სხვა მიმართულებით;
- **აღმოსავლეთ ევროპა** - შესაბამის ქვეყნებს, ჩვენი მსგავსი უახლესი ისტორიული გამოცდილება გააჩნიათ და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი ევროკავშირის წევრია, ჩვენ მაინც გვიწევს მსგავსი პრობლემების გადაჭრა. გარდა ამისა, ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა უკრაინა, ბელორუსი¹ და მოლდოვა, ჩვენში განსაკუთრებულ ინტერესს უნდა იწვევდეს, მ.შ. თანამშრომლობის მრავალმხრივ განვითარებისა და პრობლემების გადაჭრისადმი ერთობლივი მიდგომების ფორმირების თვალსაზრისით.

ყოველივე ზემოაღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ მიმდინარე ეტაპზე საქართველოს წინაშე რამდენიმე განსაკუთრებით აქტუალური საკითხი იჩენს თავს:

- საქართველოს, როგორც მცირე ქვეყნის, ეკონომიკური წინსვლის უზრუნველყოფის მიზნით, მისი ეკონომიკის სპეციალიზირებული განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა;
- საერთაშორისო და რეგიონული (სამხრეთ კავკასია, ცენტრალურ-

¹ ვფიქრობთ, რომ ბელორუსის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული პოლიტიკა დროებითი ხასიათისაა და არ გამოხატავს ბელორუსი ხალხის მისწრაფებებს. ამიტომ, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ამ ქვეყნასთან თანამშრომლობა დადებითი შედეგების მომტანი იქნება ჩვენთვის არაერთი მიმართულებით.

გ. ღავთაძე, ს. ქარჩხაძე

რი აზია, აღმოსავლეთ ევროპა) კოოპერაციის გაღრმავების შესაძლებლობების ძიება და პრობლემების გადაჭრისადმი ერთობლივი მიდგომების უზრუნველყოფა, მათთან შემდგომი დაახლოების შესაძლებლობების გამოვლენა და რეალიზება;

- ქვეყნის, როგორც მცირე მზარდი ბაზრის იმიჯის ამაღლება და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვაზე ზრუნვა, მ.შ. ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის შემდგომი ამაღლების გზით.

სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, ამჯერად, უფრო დეტალურად, განვიხილავთ მხოლოდ პირველ ორ მათგანს.

განსაკუთრებული გზა, რომლითაც წავიდა დასავლეთ ევროპის მცირე ქვეყნების სამეურნეო განვითარება და ეკონომიკის სტრუქტურული ფორმირება, საერთო ჯამში ხასიათდება ტექნიკურად რთული, შრომატევადი და მარალხარისხიანი პროდუქციის განსაზღვრული სახეობების წარმოებაზე სპეციალიზაციის გაძლიერებით. საერთოდ, შეიძლება გამოიყოს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკის სპეციალიზაციის რამდენიმე ძირითადი ტიპი (ღავთაძე, იფშირაძე 2003: 289):

1. ჩამოყალიბდა მსოფლიოს კოლონიალური დაყოფის ეპოქაში, როდესაც ქვეყანა-მეტროპოლიები სხვადასხვა ტერიტორიებს თავს ახვევდნენ განვითარების ცალმხრივ, აგრარულ-სანედლეულო ხასიათს (ბრაზილია - ყავა, ვენესუელა - ნავთობი), რაც აკავებდა მათი ეკონომიკის კომპლექსურ განვითარებას და ართმევდა სამეურნეო დამოუკიდებლობას;
2. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, „სამრეწველო გადატრიალების“ ეპოქაში, მკვეთრად ამაღლდა ნაციონალური მეურნეობის ურთიერთკავშირისა და მათი ერთიან მსოფლიო ბაზარში ჩართვის ხარისხი. ეს პერიოდი ხასიათდება სამრეწველო ნახევარფაბრიკატების და სპეციალიზებულ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე აქცენტების გადატანით (ბელგია - თუჯი და ფოლადი, ნორვეგია - ალუმინი, ფინეთი- ხე-ტყის მასალები, დანია, ჰოლანდია-ხორცი და რძის პროდუქტები). შსდ-ის თავისებურება გახდა ქვეყანათა მთელი ჯგუფის გამოსვლა ერთი ან რამდენიმე (ძირითადად სანედლეულო და ენერგეტიკული) სახის საქონლის მომწოდებლის როლში (მონოკულტურული სპეცი-ალიზაცია);
3. იგი ნათლად გამოვლინდა ომის შემდგომ პერიოდში და გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ორიენტაციას ასეთი

სახის ნაკეთობების წარმოებაზე, რომლებიც დამუშავების მაღალ ხარისხს მოითხოვენ. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების ან გეოგრაფიული მდებარეობის გვერდის ავლით, სპეციალიზაციის ეს ტიპი დაფუძნებულია იმ უპირატესობების გამოყენებაზე, რომლებიც წარმოექმნებათ მწარმოებლებს ტექნიკურ სიახლეთა დაწერვის, მის ბაზაზე სერიული წარმოების ორგანიზაციის შედეგად.

ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში დომინირებადი სექტორების გამოყოფა წინააღმდეგობრივ და რთულ პროცესს წარმოადგენს. ყოველი კონკრეტული პერიოდისთვის, განსაკუთრებით ეფექტიანი გადაწყვეტილების ძიებაში, მთელი რიგი ათწლეულების განმავლობაში, აქცენტები ერთი დარგიდან მეორეზე გადაადგილდება ხოლმე. როგორც წესი, სპეციალიზაციის თვდაპირველი სტადია დაკავშირებულია ბუნებრივი უპირატესობის გამოყენებასთან. მათი ფლობა ხელსაყრელ პირობებს ქმნის ინდუსტრიული განვითარებისათვის, მაგრამ არასოდეს არ მოქმედებს საკმარისად დიდხანს. ამიტომ, თითოეული ქვეყნის სამეურნეო წარმატებები ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწრაფად მოახერხებს იგი დაიკაოს განსაკუთრებული მომგებიანი პოზიციები შსდს-ში.

თავის დროზე, სპეციალიზაციის გზაზე დგებოდა მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა მსხვილი სახემწიფო (გერმანია - ქიმია, ელექტორიტექნიკა; იაპონია - ავტომშენებლობა, ელექტრონიკა, გემთმშენებლობა; აშშ - ავიამშენებლობა, ელექტრონიკა, ატომური ენერჯეტიკა). მაგრამ მათთან მიმართებაში სპეციალიზაციას არასდროს შეუძლია მიაღწიოს გარკვეულ დასრულებულობას. შიდა ბაზრის მნიშვნელოვანი მასშტაბები და თითქმის ყოველთვის არსებული საბაჟო განცალკავებულობა, სტიმულს აძლევენ მრავალდარდარგოვანი მეურნეობის განვითარებას. ეს სპეციალიზაციის ხარისხს არსებითად ამცირებს. აღნიშნულზე საკმაო ზაგველენას ახდენენ, ასევე, პოლიტიკური ფაქტორებიც. ამიტომ, სპეციალიზაციის ახალმა ტიპმა ფართო გავრცელება ჰპოვა დასავლეთ ევროპის მხოლოდ ზოგიერთ მცირე სამრეწველო ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში (Юданов 1984: 124).

სპეციალიზაციის შემდგომი გაღრმავება გამოიწვია მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციამ, ვაჭრობის გზით. აღნიშნულის შედეგად, კომპანიებმა, გასული საუკუნის 1970-1990 წლებში, შეიმუშავეს წარმოების ახალი სტრატეგიები და ერთ ქვეყანაში წარმოების ნაცვლად, დაიწყეს ვერტიკალურად ინტეგრირებული საწარმოო პროცესების განხორციელება სხვადასხვა ქვეყნებში, ისეთი ლოკალური უპირატესობების გამოყენების მიზ-

გ. ლავთაძე, ს. ქარჩხაძე

ნით, როგორებიცაა: შრომის დაბალი ღირებულება, ბაზრებთან სიახლოვე ან ხელსაყრელი სამთავრობო რეგულაციები. აღწერილი ვითარება - საექსპორტო საქონელის წარმოება იმპორტირებული პროდუქციით, ცნობილია „ვერტიკალური სპეციალიზაციის“ სახელით.

როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში ვერტიკალური სპეციალიზაციის ქვეყნის დონის განმსაზღვრელი ფაქტორებია მასპინძელი ქვეყნის განათლების დონე, ბაზრის ზომა, რომელ ქვეყნებთან იზიარებენ საზღვრებს, სავაჭრო ორიენტაცია და პოლიტიკური უფლებები. განვითარებადი ქვეყნის შემთხვევაში, არსებობს დამატებითი დეტერმინანტები, როგორიცაა შრომის ხელმისაწვდომობა, გეოგრაფიული დისტანცია და გაცვლითი კურსის დამახინჯების ხარისხი და სხვ.

ვერტიკალური სპეციალიზაციის განხილვის დროს, მთავარი განსხვავება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არის ის, რომ სამუშაო ძალის განათლების მიღწევები დადებითად მოქმედებს განვითარებულ ქვეყნებში ვერტიკალურ სპეციალიზაციაზე და ნეგატიური ეფექტი აქვს განვითარებად ქვეყნებზე. მუშახელის განათლების მაღალ დონეს, ტექნიკური და ენობრივი უნარების განვითარებას, შეუძლია ქვეყანა მიმოიხიდე ვერტიკალურად სპეციალიზებული საწარმოო საქმიანობისთვის (Clark 2010: 327-339).

საბოლოოდ, შეგვიძლია შევაჯამოთ ის მიზეზები, რის გამოც, მცირე ქვეყანამ უნდა გააკეთოს აქცენტი თავისი ეკონომიკის სპეციალიზაციაზე. ესენია (იფშირაძე 2015: 18-19):

- ბუნებრივი რესურსები მსოფლიოში უკიდურესად არათანაბრად არის განაწილებული და მცირე ქვეყნის ზომები ბუნებრივი სიმდიდრის სიმწირეს განაპირობებს. ეკონომიკის სპეციალიზირების პირობებში იქმნება მათი უფრო სრული გამოყენების საშუალება;
- მცირე ქვეყნის შეზღუდული ადგილობრივი ბაზარი არ ქმნის სათანადო ბაზას ეკონომიკის აბსოლუტურად ყველა სექტორში მსხვილი საწარმოების წარმოსაქმნელად;
- მცირე ტერიტორიის პირობებში ძირითადად მწარმოებლებს შორის უფრო მჭიდრო შიდაეკონომიკური კავშირები არსებობს, რაც განვითარების ერთიანი სპეციალიზირებული მიმართულებისათვის შეუდარებლად დიდ საშუალებას ქმნის;
- მცირე ქვეყნის სოციალური სტრუქტურა უფრო მოქნილია. ძირითად მწარმოებელთა განათლებისა და ტექნიკური მომზადების სისტემის მაღალ დონეზე შენარჩუნება უზრუნველყოფილს გახდის ეკონომიკის

მოქნილობას, მისი სპეციალიზაციის ორიენტაციის შეცვლის შესაძლებლობაში;

- განათლების მაღალი დონის პირობებში, მაღალხარისხოვანი და ნაკლებად ძვირი შრომითი რესურსის პირობებში, მცირე ქვეყანას მნიშვნელოვანი უპირატესობა ენიჭება ვერტიკალური სპეციალიზაციის გაღრმავებისათვის, რაც უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინების ერთ-ერთ წინაპირობად შეიძლება განვიხილოთ.

- სპეციალიზირებული განვითარების პირობებში, უფრო მეტი შესაძლებლობა იქმნება რეგიონული კოოპერაციის გაღრმავებისათვის.

რეგიონული კოოპერაციის გაღრმავების შესაძლებლობები: საერთაშორისო გამოცდილება და სამხრეთ კავკასიის პერსპექტივები. ეკონომიკის სპეციალიზირებული განვითარების ზოგადი ანალიზის შემდეგ, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, მიზანშეწონილია განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბალტიისპირეთის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. მითუმეტეს, რომ ბაზრის სპეციალიზაციამ, ამ რეგიონების სახელმწიფოებში, სწრაფი განვითარება გამოიწვია.

დავიწყოთ იმით, რომ ესტონეთის, ლატვიისა და ლიეტუვის შედარებითი უპირატესობა ეფუძნება ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, ხოლო ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი და სლოვენია ყველაზე მეტად ორიენტირებულია ადამიანურ კაპიტალზე და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების წარმოებაზე. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა სწრაფად დაიჭირეს მაღალი კვალიფიკაციისა და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების წარმოების ნიშა, მიუხედავად მათი ტექნოლოგიური ჩამორჩენილობისა გეგმიური ეკონომიკის პირობებში (Ferto 2008: 5-28).

საინტერესოა ბალტიისპირეთის ქვეყნების, როგორც სამი ერთმანეთან დაკავშირებული ერთიანი ეკონომიკის განხილვა. ეს კარგი მაგალითია სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებისათვის. ამ ორ რეგიონს შორის არის საკმაოდ ბევრი მსგავსება, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- ბალტიისპირეთის ქვეყნებს - ესტონეთს, ლატვიას და ლიეტუვას - აქვთ საერთო მახასიათებლები და მსგავსი ისტორია, ისევე როგორც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს;

- ევროკავშირის ამ სამმა ქვეყანამ, ისევე, როგორც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა, აღიდგინა დამოუკიდებლობა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში. თუმცა, ბალტიისპირეთის ქვეყნები, უკვე 2004 წელს, გაწევრიანდნენ ევროკავშირში;

გ. ლავთაძე, ს. ქარჩხაძე

▪ ორივე რეგიონის ქვეყნები აჩვენებენ ძირითად მსგავსებას მათი გეოგრაფიის, ისტორიის, ზომის, ეკონომიკური სტრუქტურის, განვითარების დონისა და დემოგრაფიის მხრივ. ცხადია, არსებობს გარკვეული განსხვავებები, განსაკუთრებით ესტონეთთან მიმართებაში, რომელიც ხშირად განიხილება, როგორც მოწინავე. ამიტომ, ესტონეთის მაგალითი კიდევ უფრო საინტერესოა საქართველოსთვის.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საკითხი: ქმნის თუ არა ბალტიისპირეთი ინტეგრირებულ ეკონომიკურ ზონას, თუ ისინი, უბრალოდ, მეზობლები ქვეყნები არიან? კვლევები აჩვენებს, რომ როგორც ჩანს, ბალტიისპირეთის ეკონომიკა ინტეგრირებულია. არსებობს საერთო ფაქტორები და ეკონომიკური კავშირები.

ბალტიისპირეთის ქვეყნებს შორის არსებული მსგავსებებიდან აღსანიშნავია:

- ბალტიისპირეთის ქვეყნებს ახასიათებთ მცირე სახელმწიფო სექტორი და ეკონომიკური პოლიტიკის ლიბერალიზაცია. პრაქტიკიდან გამომდინარე, უცხოელი ინვესტორები, აღნიშნულ ქვეყნებს აღიქვამენ, როგორც ერთიან ბაზარს;
- ბალტიისპირეთის ქვეყნებს აქვთ მსგავსი ეკონომიკური სტრუქტურა და მიუხედავად მათი თანდათანობითი დაახლოებისა და სავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ჯერ კიდევ, სპეციალიზირებული არიან დაბალტექნოლოგიური საქონლის წარმოებაში;
- მათი სოფლის მეურნეობის სექტორი მსგავსი ზომისაა და არის ევროკავშირის სამუალო მაჩვენებელზე ბევრად მაღალი;
- საქონლის წარმოება მეტად სპეციალიზირებულია ხის და ქაღალდის ნაწარმზე.

თუმცა, არის ასევე განსხვავებებიც, მაგალთად:

- ესტონეთი ყველაზე მეტად ექვემდებარება საერთაშორისო მოვლენებს, ლატვია ნაკლებად ექვემდებარება რეგიონულ გავლენებს და ლიეტუვა კი გაცილებით ნაკლებად გავლენიანია სამეულში;
- კონკრეტული სექტორების განხილვისას, არსებობს განსხვავებები ამ აღნიშნულ ქვეყნებს შორის. მაშინ, როცა ლატვიას და ლიტვას აქვს შედარებითი უპირატესობა კვების სექტორი, ესტონეთი ზეთის ერთადერთი მწარმოებელია მეზობელ ორ ქვეყანას შორის და მისი ელექტრონული და ელექტრო ადჭურვილობის ინდუსტრია შედარებით უფრო განვითარებულია;

- ლიტვას აქვს მნიშვნელოვანი ქიმიური სექტორი, ხოლო ლატვია სპეციალიზირებულია ფარმაცევტულ ინდუსტრიაში;
- ესტონეთი ყველაზე მეტად ექვემდებარება საერთაშორისო რყევებს. პირიქით, ლიეტუვა (სამიდან ყველაზე დასახლებული) უფრო მდგრადია საერთაშორისო შოკების მიმართ, მაგრამ დანარჩენი ორი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება განსაკუთრებით გავლენას ახდენს მასზე. რაც შეეხება ლატვიას, იგი ყველაზე ნაკლებად ექვემდებარება სხვა ქვეყნის შოკებს, მაგრამ ყველაზე დაუცველია ბალტიისპირეთში წარმოქმნილი შოკების პირობებში.

მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ, რომ სამი ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები ძლიერ კორელაციაშია ერთმანეთთან. ამასთან, მშპ-ს წლიური რეალური ზრდის კორელაცია ბალტიისპირეთის ქვეყნებს შორის მნიშვნელოვნად უფრო მაღალია, ვიდრე ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოებთან ან რუსეთთან.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ, თუნდაც ბალტიის სამი ქვეყანა იყოს გაგებული, როგორც ერთიანი ეკონომიკური სფერო, ეს არ ნიშნავს, რომ არსებობს „ერთი ზომა ყველასთვის“, გადაწყვეტილებები, მათი შესაბამისი გამოწვევები, პოლიტიკის მიზნები გამომდინარეობს ქვეყნის სპეციფიკიდან. მთლიანობაში, ბალტიის ქვეყნები ქმნიან მჭიდროდ დაკავშირებულ ინტეგრირებულ ეკონომიკურ ზონას და გრძელვადიან პერსპექტივაში, ინვესტიციური ზრდა რომელიმე ერთ ქვეყანაში, სარგებელს მოუტანს ბალტიისპირეთის ერთიან ეკონომიკას, მთლიანად (Poissonnier 2017: 6-9).

ზემოთ განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ საქართველომ, საწყის ეტაპზე, ამიერკავკასიის სახელმწიფოებს შორის საკუთარი პოზიციების განმტკიცებისათვის უნდა იზრუნოს. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უკანასკნელ წლებში, მიუხედავად იმისა, რომ სამეურნეო პროცესების ინტერნაციონალიზაციამ გლობალურ მასშტაბებს მიაღწია, ინტეგრაციული პროცესები ძირითადად მაინც რეგიონულ ხასიათს ატარებს. თანამედროვე მსოფლიოში კვლავაც მიმდინარეობს სამეურნეო კავშირების გაღრმავება, სხვადასხვა რეგიონული დაჯგუფებების შექმნა, რომლებიც დაფუძნებულია საერთო ბაზრის, თავისუფალი ვაჭრობის ზონების, საბაჟო და სავალუტო კავშირების პრინციპებზე.

განსაკუთრებით აქტიურად, ინტეგრაციული პროცესები მიმდინარეობს ახალგაზრდა ქვეყნებს შორის. გაერთიანებების წარმოქმნის უპირველეს მიზეზად კვლავაც რჩება მსოფლიო კონკურენტულ ბრძოლაში თავის

გ. ლავთაძე, ს. ქარჩხაძე

გადარჩენა. მაგალითისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ: ეთ, ბენილუქსი, ინტეგრაციის ლათინოამერიკული ასოციაცია, ცენტრალურ-ამერიკული საერთო ბაზარი, კარიბის გაერთიანება, დასავლეთ აფრიკის ეკონომიკური გაერთიანება, სუჟამი. ალბათ მიზანშეწონილი იქნება, თუ ამიერკავკასიის სახელმწიფოები სრულყოფილად შეისწავლიან მსოფლიო გამოცდილებას და იფიქრებენ ერთმანეთთან მომავალ მჭიდროდ დაახლოებაზე (ლავთაძე 1999: 76).

სამხრეთ კავკასიაში მსგავსი პროცესების განვითარების შემთხვევაში, ეკონომიკური კოოპერაციიდან მოსალოდნელი ეფექტის მიღება შეიძლება, უპირველეს ყოვლისა, ვაჭრობის პირობების გაუმჯობესების, ერთიანი საგადასახადო-საბაჟო სივრცის შექმნის, კავკასიული საერთო პრობლემების მოგვარებაზე ძალისხმევის გაერთიანების, კაპიტალისა და სამუშაო ძალის მიგრაციის ერთობლივი რეგულირების, რეგიონული ღირებულებათა ჯაჭვების განვითარების შედეგად და ა.შ. ამ ქვეყანათა მომავალი დაახლოების საფუძვლად, ისევ და ისევ, მათი სპეციალიზირებული განვითარების უზრუნველყოფა გვესახება. ამ შემთხვევაში, მათ შორის ჩამოყალიბდება ურთიერთობები, რომლებიც დღის წესრიგში ლოგიკურად დააყენებენ მათი ეკონომიკური ურთიერთშეღწევის საკითხს.

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, გარდა ეკონომიკურისა, საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური ფაქტორებიც განაპირობებენ. ამ ქვეყნებში მიმდინარე პროცესები საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივია და მათზე მოქმედებს ბევრი, როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ფაქტორები. ამ მხრივ, აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ მიმდინარე წელს, რეგიონში რუსეთის ზეგავლენების შემცირება, მნიშვნელოვან დადებით ზეგავლენას მოახდენს საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებსა და მათი სწრაფი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაზე.

დასკვნა. საბოლოოდ, გვინდა ავლნიშნოთ, რომ საქართველომ თავისი მომავალი ეკონომიკური განვითარების ორიენტირად უნდა აიღოს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ჩართვა და მყარი ადგილის დაკავება. ამ მიზნის წარმატებით მიღწევისათვის აუცილებელია საწყის ეტაპზე პოზიციის განმტკიცება სამხრეთ კავკასიის მასშტაბით, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის ეკონომიკის სპეციალიზაციამ უნდა შეასრულოს. თავის მხრივ, იგი ქვეყნის მხარეების ეკონომიკების სპეციალიზაციის დონის ამაღლებას უნდა დაეყრდნოს.

ჩვენი აზრით, საქართველოსთვის ეკონომიკის სპეციალიზირებული განვითარება მისაღები და მიზანშეწონილია, რისთვისაც საჭიროდ მიგვაჩ-

ნია:

- თავდაპირველად, სპეციალიზაციის ტიპი, დაეფუძნოს ბუნებრივ უპირატესობების და გეოგრაფიული მდებარეობის გამოყენებას. უცხოური კაპიტალის მოზიდვის და განსაკუთრებით, ადგილობრივი საინვესტიციო პოტენციალის გაფართოება-სტიმულირებით შესაძლებელი გახდება სპეციალიზაციის უფრო მაღალ ეტაპზე გადასვლა;

- ეკონომიკაში დომინირებადი სექტორების განსაზღვრა (მ.შ. რეგიონულ ჭრილში), მათი უპირატესი განვითარების უზრუნველყოფა;

- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერება, აქცენტის გადატანა უპირატესად ტექნიკურად რთული მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებაზე. საჭირო კადრების განათლების და ტექნიკური მომზადების სისტემის სრულყოფა;

- ძირითად მეწარმეებს შორის კავშირების გაღრმავების მაქსიმალური ხელშეწყობა. საზღვარგარეთ შვილობილი საწარმოების ქსელის შექმნაზე ზრუნვა, მათზე სპეციალიზირებული პროდუქციის წარმოების დაკისრება, ვერტიკალური სპეციალიზაციის ფარგლებში;

- ადგილობრივი მწარმოებლების მხარდაჭერა, ხელშეწყობა, შიდა ბაზრების დაცვაზე ზრუნვა იმ საერთაშორისო შეთანხმებების მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებშიც ჩართულია ჩვენი ქვეყანა.

ყოველივე აღნიშნული, შექმნის საქართველოს (როგორც მცირე ქვეყნის) დამახასიათებელი ზიგიერთი ნაკლის გარკვეულ უპირატესობად გადაქცევის წინაპირობას. ქვეყანა უფრო გამოკვეთილ ადგილს დაიკავებს გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში, რაც დაეფუძნება ეკონომიკის განვითარების საკუთარ განსაკუთრებულ, უპირატეს გზებს და არსებული რესურსების უფრო სრულყოფილ, რაციონალურ გამოყენებას.

რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავების თვალსაზრისით, ვფიქრობთ, რომ საქართველოს რელობიდან გამომდინარე, უმჯობესია პრობლემების გადაწყვეტა დაიწყოს საერთაშორისო კოოპერაციის და არა ინტეგრაციის ბაზაზე, ვინაიდან ამ შემთხვევაში უფრო რეალური ხდება დამოუკიდებელი განვითარების უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოთ თქმულმა, საქართველოს მომავალზე, სხვა ზეგავლენასთან ერთად, ძირითადად ორგვარი ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს: პოლიტიკური და ეკონომიკური. ორივე შემთხვევაში შეიძლება დადებით შედეგებზე საუბარი, ოღონდ მათი მიღების შესაძლებლობა ბევრად არის დამოკიდებული ჩვენს მიერ სწორი ნაბიჯების გადადგმაზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი სიახლე-

ების დანერგვას გულისხმობს, რამაც შედეგად უნდა მოგვცეს ქვეყნის ცნობადობის, მის მიმართ ნდობის და დაინტერესების ამაღლება, მათ შორის, რეგიონული (ვგულისხმობთ, როგორც სამხრეთ კავკასიას, ისე აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიას) მასშტაბით და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდა.

ლიტერატურა

- ბარათაშვილი, ე. კეკელია გ. 2004. „რეგიონების სამეურნეო სპეციალიზაცია, როგორც მათი საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების საფუძველი“, ჟ. საქართველოს ეკონომიკა, 05/09/2004, ხელმისაწვდომია: <http://geoeconomics.ge/?p=1469>
- იფშირაძე, ა. 2015. „იმერეთის მხარის სპეციალიზაციისა და კლასტერული განვითარების შესაძლებლობები“, ჟ. ეკონომიკური პროფილი, ტომი 10, #1(15), ქუთაისის უნივერსიტეტი, 2015, ხელმისაწვდომია: <https://economicprofile.unik.edu.ge/pdf/e3fd766e2bec943b316837d95705bef1.pdf>
- საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 წლებისთვის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ხელმისაწვდომია: http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek_politika/sme_strategy/sme_development_strategy_2021_2025.pdf
- სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები, მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში, ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>
- ღავთაძე, გ. იფშირაძე, ა. 2003. „საქართველოს, როგორც მცირე ქვეყნის, ეკონომიკური განვითარების მიმართულების შერჩვის საკითხისათვის“, ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციის I ეროვნული კონფერენციის შრომების კრებული, ქუთაისი, აწსუ, 2003: გვ. 286-291.
- ღავთაძე, გ. 1999. ადგილობრივი ბიუჯეტების როლი სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის გატარებაში. ქუთაისი.
- ჭანია, მ. 2017. „საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები გლობალიზაციის ფონზე“, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები, მასალების კრებული, თსუ, თბ., 2017, ხელმისაწვდომია: <https://conferenceconomics.tsu.ge/>;

- Clark, Don P. 2010. "Vertical specialization with Developed and Developing Countries". *The Journal of Developing Areas*. Vol. 42, no. 2. 2010: 327-339, available at: <https://www.jstor.org/stable/40376265>
- Ferto, I. & K. Soos. 2008. "Trade Specialization in the European Union and in Post-communist European Countries". *Eastern European Economics* vol. 46, no.3. 2008: 5-28, available at: <https://www.jstor.org/stable/27740065>
- Gopinath, G. 2020. „The Great Lockdown: Worst Economic Downturn Since the Great Depression“, available at: <https://www.imf.org/en/Blogs/Articles/2020/04/14/blog-weo-the-great-lockdown-worst-economic-downturn-since-the-great-depression>
- Nada Hamadeh, Catherine Van Rompaey, Eric Metreau. 2021. „New World Bank country classifications by income level: 2021-2022“, *World Bank*, July 1, 2021, available at: <https://blogs.worldbank.org/opendata/new-world-bank-country-classifications-income-level-2021-2022>
